ოლამური ერთობის განცდა
დავით გურამიშვილის პოეზიაში

ლალი დათაშვილი

ოლამი წუთისოფელსა და ზესთასოფელში შესაქმიდან ესქატოლოგიურ აღსასრულამდე მიმდინარე დრო და ქრისტიანისთვის წინაპარსა თუ შთამომავალთან ერთობით ცხოვრების წესია. საუკუნეებით დაშორებული ადამიანების ცოცხალი სიახლოვე, საყვარელ წინაპართან ერთობის ცინცხალი შეგრძნება კი ოლამური ერთობაა.

ოლამში ურთიერთობა იცვლება ერთობით, „შენ-ჩემობა" – „ჩემით", თვალები – თვალით, გულები – გულით... ფანტაზიას ენაცვლება შეგრძნება; წარმოდგენას – განცდა, ხედვა, სმენა, შეხება; სიზმარსა თუ ოცნებას – ხილვა, ჩვენება-გამოცხადება; თანაგრძნობას – თანალმობა.

ამიტომაა, რომ ერთი ყველას მოიცავს და ყველა ერთთან იგივდება. ოლამური ერთობა არ არის ადამიანთა მექანიკური ან შემთხვევითი გაერთიანება. ერთობისა და ერთსულოვნების საფუძვლად გიორგი მერჩულე რწმენასა და საღმრთო სიყვარულს

ასახელებს. სიყვარული ამსგავსებს და აკავშირებს ოლამში ადამიანებს. დავით გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძირთაგან შორს არიან, შრტოდ კი – ახლოს".

ჩვენი აზრით, ქართულ სამყაროში ოლამურ ერთობას გამორჩეულად გამოხატავს დავით გურამიშვილი. მისი მსოფლაღქმა უფალსა და სამყაროსთან ოლამური ერთობის საოცარი ნიმუშია.

ამ საკითხს პირველად შეეხო გია მურღულია. სადისერტაციო ნაშრომში – „დავითიანის" მხატვრულ სახეთა სისტემა" (1989 წ.), რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა (1997 წ.), მეცნიერი წერდა „სახელშეურქმეველ ტენდენციაზე", რომელიც უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა დავით გურამიშვილის პოეზიის ანლიზისას. კერძოდ, „დავითიანში" უმჭიდროესი ძაფებით უკავშირდება ერთმანეთს კერძო და ზოგადი, პიროვნული და საზოგადოებრივი, რეალური და სიმბოლური, დროული და ზედროული", რასაც ოლამად მოიხსენიებდა (გვ. 78).

მწერლური და პიროვნული თანახატქმნის საუკეთესო მაგალითი დავით გურამიშვილი საგნებსა და მოვლენებს გაორმაგებით ასახავს. თანაც ისე ეჯაჭვება ერთმანეთს რეალური და სიმბოლურ-ალეგორიული, რომ მათ შორის ზღვრის გავლება ჭირს. ერთდროულად „მოქმედებს" ორი პოეტური „მე": დავით გურამიშვილი – XVIII საუკუნეში მცხოვრები ქართველი პოეტი და დავით გურამიშვილი – კაცობრიობის ერთი წარმომადგენელი, რომელიც თავის არსებაში მოიცავს და აერთიანებს დროითა თუ სივრცით მისგან ნებისმიერი მანძილით დაშორებულ პიროვნებებს. რევაზ სირაძის აზრით: „დავითიანის" ლირიკულ ლექსებში სხვადასხვა ლირიკული სუბიექტია, მაგალითად, ადამი („ადამის საჩივარი"), ქრისტე („ლოცვა", „ვედრება"), ღვთისმშობელი („ტირილი ღვთისმშობლისა"). ყოველ მათგანს ჩაენაცვლება ხოლმე დ. გურამიშვილი და მათ სათქმელს საკუთარ სათქმელად იხდის" (რევაზ სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ. 1992; 153-154).

დავით გურამიშვილის რწმენით, უფალია ამ და იმსოფლიური ნებისმიერი მოვლენის წყარო და მიზეზი, ყველგან მყოფი და ყოვლის მხედველია; ის იტვირთებს და აერთიანებს ოლამის ნებისმიერი წევრის ტკივილს, ცოდვასა თუ სიხარულს:

გამეორებული „ჩემი – ჩემთვის“ დავითისა და უფლის საოცარ ერთობას გამოხატავს, პოეტი დარწმუნებულია, რომ მაცხოვარი სწორედ მისთვის ეცვა ჯვარს:

„ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ, ჩემთვის მკვდარსა, სისხლით გაბასრულსა“

(„სიმღერა დავითისა: ზუბოვკა“).

ასევე მოთქვამს ადამი (და მასთან ერთად და მასში, მთელი კაცობრიობა):

„ვინც რომ ჩემთვის ჯვარზედ წმინდა
გარდადინა სისხლის ღვარი...“

(„ადამის საჩივარი“).

დ. გურამიშვილი იმედოვნებს, რომ მის ცოდვებს ღვთაებრივი მსხვერპლი განწმენდს – იესოს მიერ კონკრეტულად მისთვის დანთხეული სისხლი; რადგან უფლის წინაშე არარაა დროით-სივრცითი ბარიერები, პოეტის რწმენით, უფალთან ერთობის განცდა 18 საუკუნეს ერთ წამს გაუტოლებს, ჯვარცმული მაცხოვრის დაღვრილი სისხლი ამ წამს ჩამოიწვეთება, როცა დავითის სული უკანასკნელ სამსჯავროზე წარდგება, გრაალში როდი ჩაიწვეთება, ცოდვა-მადლის სასწორს ქვემოდან შეუდგება და გადაარჩენს განსასჯელს. ქრისტეს ამიტომაც შესთხოვს მხურვალე ცრემლებით:

„მოიხსენე, უფალო, სჯად შენდა მოსული
დავით გურამიშვილის უბადრუკი სული.
გვერდთ, ხელთ, ფერხთ სისხლი შენი
სასწორს აბრად შეუდევ,
განუმსუბუქე, მძიმე ცოდვანი შეუნდევ“

(„ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“).

ოლამში დროის ფაქტორი მოხსნილია. დავით გურამიშვილი ისე მოსთქვამს კაცთა სიავით გაოცებული, მკითხველს ავიწყდება, იგი XVIII საუკუნის მოღვაწე რომაა და გვგონია, პოეტი ჯვარცმის წინ მდგომარე შესტირის უფალს, ევედრება, მიუტევოს ცოდვილ კაცობრიობას.

ერთი ნაბიჯი და ერთი წუთია მარადისობიდან დროში და – პირიქით. ამიტომაც ყოვლადწმიდა დედა და დავით გურამიშვილი (მხოლობითში, როგორც ერთი არსება – გაერთიანებული) ერთმანეთს ენაცვლებიან თითქოს და სათხოვარს შეჰკადრებენ უფალს, გადადგას ნაბიჯი, ადამი და ევა გამოიხსნას, შემდეგ ისევ გადმოდგას მათკენ და მოინახულოს:

„ადამის წყლურთა შამხვეო,
მისთვის სისხლისა დამთხეო!
წადი, სალბუნი მას ცხეო,
ევა იხსენ და მნახეო."

დავით გურამიშვილისთვის წაშლილია ყოველგვარი ზღვარი, არ არსებობს ქრონოტოპული სხვაობა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია „ზუბოვკა" (ეს ლექსი ამ ასპექტით განხილულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში). პოეტი ერთი მოკვდავია, XVIII-დან პირველ საუკუნეში გადასული, რომელსაც გზად შემოხვდება იესო, ჯერ მრისხანედ ელაპარაკება, შემდეგ კი მონანულს ასწავლის სასუფევლისა და მეორედ მოსვლის შესახებ.

პირველ პირში გადმოგვცემს უკვე „მოციქულად" გადაქცეული პოეტი უფლის მიერ „მისთვის" ნათქვამ დანაპირებს და, როგორც მოსიყვარულე მონაფე, გულწრფელად დასტირის მაცხოვარს:

„დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ", აწ მე იმას ველი,
მისთვის ვსტირი, ცრემლითა მაქვს უბე, კალთა სველი..."

უფალთან ოლამური ერთობა მარადიულად მასთან ყოფნის, მისი ნებისმიერი ქმედების საკუთარ თავზე გადმოტანის განცდაცაა. დ. გურამიშვილი თვითონაა უფლის მიერ შექმნილი ადამი:

„ჩემსა კაცად მხატველს, მსახველს,
რაც მე ძალმიცს, გიქებ სახელს"

(„სიმღერა").

მისი რწმენით, ნებისმიერი კაციც, როგორც კიდევ ერთი ადამი, მადლიერებას უნდა გრძნობდეს მის მიმართ, ვინც „თიხა-ჭურჭელად" შექმნა და თავისი ღირსეული ცხოვრებით „ხელფასს უხდიდეს" უზენაესს:

„აქე, ადიდე შენაო, ვინცა შენ აღგაშენაო,
შენ – შავი მიწა, ტალახი – რომ აგრე დაგაშვენაო:
ჩაგიდგა სული ცხოელი, დაგაწყებინა ქშენაო,
გალაპარაკა, გასმინა, მოგცა პირი და ენაო."

განსაკუთრებით ცხადად შეინიშნება კავშირის შეგრძნება ადამსა და ევასთან, როგორც ჩვენს პაპა-ბებიასთან, დ. გურამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ.

ადამთან ერთობის განცდისთვის საყურადღებოა გურამიშვილისეული ფიქრი (ქრისტიანთათვის საყოველთაოდ ცნობილი), რომ ადამიანზე გადმოდის წინაპართა ცოდვები, რის გამოც იჩაგრება ამქვეყნიურ ბორკილებში მომწყვდეული კაცი. პოეტისთვის ეს არ არის მხოლოდ ცოდნა, არამედ ბიბლიური ამბები პიროვნული ტკივილისა თუ შეგრძნებების დონეზე აჰყავს. ჯერ თუ წუხილით მოგვითხრობს ადამის ამბავს, შემდეგ თანაგანცდა წინაპართან აერთიანებს, მესამე პირი პირველით იცვლება, „დავით გალად დანერგული", ადამთან შერწყმული, „საკუთარ" თავგადასავალს მოგვითხრობს „ადამის საჩივარში", თვითონ ხდება ნათლის სამოსლისგან განძარცული, გაშიშვლებული ადამი და მწარედ მოსთქვამს:

„... დამირწყო მან მახეა;
ტანთ ნათელი შემომძარცვა,
ცხვრის ტყავფუჩი მამახვია!"

ასევე საინტერესოა მის მიერ აღვლენილი მადლობა მაცხოვრის ღვაწლისთვის კაცობრიობისათვის წინაშე. ამ სტრიქონების ლირიკულ სუბიექტად შესაძლოა ადამის, დავით წინასწარმეტყველისა და თვით დავით გურამიშვილის მოაზრებაც:

„მან დამაყენა, წამოაყენა
მან მზეთა-მზემან შარავანდედი,
ბნელში მგდებარე გამოვედ გარე,
ვითა დავღამდი, ისევ გავსთენდი!
ძე მოგვებოძა, გვესვეტ-გვებოძა,
მე დაქცეული მისგან ავშენდი"

*(„ტყვეობიდამ გამოსვლის დროს
დავითის შესხმა").*

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია დავითის ფორმა „ჩვენ, კაცი“, რომელიც მრავლის ერთობას გამოხატავს. „მეც“ იგულისხმება და ჩემში – ჩვენც, ერთ კაცში – მრავალი:

„ჩვენ, კაცი, მიწა და წყალი შეგვზილა, აღგვადგინაო“
(„დინარი“).

ქართველი პოეტი ყველაზე მეტ სიახლოვეს დავით წინასწარმეტყველთან გამოხატავს, თავსაც მის ძედ მოიხსენიებს:

„დავითის ძე დავით მიხსენ, მე აქადაღმეო“;

„ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენებაში“ იმის სათქმელად, თუ როგორ შეწევნას გრძნობს დიდი წინასწარმეტყველისგან, იგი ჯერ იმოწმებს ფსალმუნის სწავლებას, რომ ყოველი სულიერი უფალს უნდა აქებდეს, შემდეგ კი დიდ სეხნიასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს გამოხატავს – თავისი წიგნით დავითის საგალობელს – მოძახილს ხმას შეუწყობს და ბანს ეუბნება:

„ღმერთო, მისმინე დავითის საგალობელი,
და ეს სიმღერა მის თქმას, მოძახილს აბანე.“

სოლო და ბანი ერთმანეთთან ახლოს მდგომარეთა სათქმელია, რის გამოხატვაც სურდა დავით გურამიშვილს. 27 საუკუნე აშორებთ მათ, თუმცა სულიერი სიახლოვე ძლევს მანძილსა და დროს. ისინი არა მხოლოდ „გვერდიგვერდ დგანან“ და „ერთად მღერიან“, არამედ ქართველი პოეტი ძლიერდება დიდი წინასწარმეტყველის დახმარებით, უკეთესი პოეტიც ხდება და მომხიბლავი ადამიანიც, რასაც არაჩვეულებრივი მეტაფორით გამოხატავს – დავით მეფსალმუნის ვარცხნისას გაცვენილი თმით ქართველი პოეტი ფიზიკურ თუ სულიერ სიქაჩლეს იფარავს, „ქოჩრად მოისხამს“:

„ამად ქაჩალმან მის თმის ნავარცხნი,
ქოჩრად მოვისხი, თავზედა ვითმე“.

ამით გვაგულისხმებინებს, რომ მისი სიტყვები ორი ადამიანის თანაშემოქმედებაა, ფსალმუნთმგალობლის „ნაკარნახევია“.

წინაპრის ფიქრი, განცდა თუ გამოცდილება შთამომავალს გადაეცემა. ოლამში ცხოვრების საუკეთესო გამოვლინებად მიგვაჩნია წმ. პეტრე მოციქულის, დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ერთობის მაგალითი.

წმ. პეტრე მოციქული მთელი ცხოვრება ტიროდა იმის გამო, რომ ჯვარცმისას მამლის ყივილამდე სამჯერ „გაყიდა" უფალი, უარყო იგი, თურმე სახეზე ღარებიც კი გაუჩნდა ცრემლის განუწყვეტელი ნაკადით;

დავით გურამიშვილს ამ მაცხოვნებელი ცრემლების ღარი სახეზე კი არა, გულზე გასჩენია, იმაში დარწმუნებული, რომ ტყვეობით ცოდვების სიმრავლის გამო ისჯება, მონანული გულმდუღარედ ტირის:

„გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი,
ვიტირე და გარდვადინე მე იმაზე ცრემლთა ღვარი"

(„ტყვეობითგან გაპარვა დავითისა").

დიდ ვაჟა-ფშაველას დავითის ცრემლები ფაფაში ეწვეთება და მათ სიმწარეს გრძნობს.

როგორც დავინახეთ, პეტრეს ცრემლები დავითს სცვივა თვალთაგან, მოციქულის სახის ღარიდან ქართველი პოეტის გულის ღარს გაივლის და ვაჟა-ფშაველას „ფაფასთან ერთად ეყლაპება". – ასეთია სულიერ წინამორბედთან ერთობის ოლამური თანაგანცდა.

ოლამი მდინარეა, რომელიც სასუფევლიდან მოდის და ისევ სასუფეველში შეედინება. ცხონებისკენ მიმავალნი ამ გზაზე წასულ წინაპართა სულებს უერთდებიან. ადამიანს ყოველივე მიმართული უნდა ჰქონდეს ამ გზის სწორად გასავლელად. „მას შევნატრი, ვინც სწორად სვლით საწუთროს გზას გაჰკვალავს", – ბრძანებდა დავით გურამიშვილი და სწავლის უმთავრეს მიზნადაც ოლამურ ერთობაში ცხოვრებას მიიჩნევდა, ანუ სოფლის ყოველი შვილის მიერ კაცის მოვალეობისა და დანიშნულების გააზრებას, წინაპართა მაგალითით ცხოვრებას, სწორად ჩართვას ოლამურ სვლაში და საკუთარი თავისა თუ შთამომავლობისათვის საწუთროდან სასუფევლისკენ გზის გაკვალვას:

„ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო".

. დ. გურამიშვილის ხატოვანი მეტაფორით, ადამიანი ჯამბაზია, ცეცხლმოდებულ მდინარეზე საწუთროდან სამოთხისკენ მიმავალი ბეწვის ხიდით რომ გადადის:

„აქ ნავთთ მდინარე ცეცხლ მონაკიდი,
ზედ გასავლელი წვრილ საბლის ხიდი;
განისწავლენით, ჯამბაზებრთ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, დაიწვნეთ მწარეთ!"

(„სულის ამბავი").

ხასიდებიც მსგავსად ასწავლიდნენ: „ამ წუთისოფლის გზა დანის პირივით არის, ერთ მხარესაც ქვესკნელია და – მეორე მხარესაც. შუაში კი სიცოცხლის გზაა" (ხასიდური სწავლანი, თბ. 1994: 28).

მკითხველი გრძნობს, დავითი ამ ოლამური მსვლელობის მონაწილეა, ლოცვით, რწმენითა და სასოებით რომ მიიკვლევს გზას ამქვეყნიურ ბურუსსა და სიცივეში „სასინათლოსა და მოწყალების კარისკენ". გვწამს, დავითის ღრმადმორწმუნე სული წინაპართა სირას შეუერთდება და სასუფეველს დაიმკვიდრებს.